

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #65

ქ. თბილისი

2025 წელი, 19 ივნისი, 13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ზურაბ აბაშიძე (კომისიის თავმჯდომარის მ/შ), ნიკოლოზ კახეთელიძე, ოთარ გრიგოლია, ლევან არველაძე, გივი ჩხარტიშვილი, კონსტანტინე ზარნაძე, საბა ბუაძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:

მამუკა გუგუშაშვილი, თამარ ხვედელიანი, ნინო წულაძე (03-032516946 – 18/06/2025)

სხდომის თავმჯდომარე:

ზურაბ აბაშიძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

დავით ჩანქსელიანი - შპს "თბილისერვის ჯგუფი" - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

თამაზ ალიბეგაშვილი - ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორი

ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი

№	საკითხის დასახელება
1.	"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" (საკრებულოს №12-032516961- 03 18.06.2025)
2.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და წარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №713 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032514852-03 28.05.2025)
3.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032516935-03- 18.06.2025)

4.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა №17 და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.11.17.003.440, ფართობი - 1747 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03251488-03 28.05.2025)
5.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №194-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.06.011.003, ფართობი - 17 000 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032514850-03 28.05.2025)
6.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, აკაკი ვასაძის ქუჩა №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.19.20.029.050, ფართობი - 2 680 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032515627-03 05.06.2025)
7.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის №109-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: №01.18.09.007.007; №01.18.09.007.006) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032515628-03 05.06.2025)
8.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის შესახვევი №11; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2 მიკრორაიონი, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.14.16.015.576, ფართობი - 2394 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03251571-03 06.06.2025)
9.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩა №18-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.11.04.026.046, ფართობი - 9 377 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032516444-03 13.06.2025)
10.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გიორგი მდივანის ქუჩა N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.11.006.061) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე (საკრებულოს №12-03251694-03-18.06.2025)
11.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ელენე ვირსალაძის I ჩიხი N3, N3ა, N3-ის მიმდებარედ, N1, N1ა, ელენე ვირსალაძის ქუჩა N8, N8ა, N12, N12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.14.010.017, ფართობი - 3 342 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03251696-03-18.06.2025)
12.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების

	შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03251486-03 28.05.2025; №12-032511417-03 -24.04.2025 - გადადებული „გ“ პოზიცია; №12-032514931-03 29.05.2025; №12-03251501-03 30.05.2025; №12-032515625-03 05.06.2025; №12-032516431-03 13.06.2025; №12-03251699-03 - 18.06.2025; №12-032514853-03 28.05.2025 (არეალზე ცვლილება))
13.	ქალაქ თბილისში, ლისი, სოფელ აგარაკში, ლისის თავთან; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №72.16.27.019; №72.16.09.798; №72.16.09.805; №72.16.09.799; №72.16.27.067; №72.16.09.156; №72.16.09.564; №72.16.09.153; №72.16.27.050; №72.16.27.102; №72.16.27.051; №72.16.09.152; №72.16.27.045; №72.16.27.095; №72.16.27.044; №72.16.09.565; №72.16.27.103; №72.16.27.020; №01.72.58.014.026-ის ნაწილი; №01.72.58.014.016-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური და სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032514876-03 28.05.2025)
14.	ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №69-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.019.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032515724-03 06.06.2025)
15.	ქალაქ თბილისში, ალექსი გობრონიძის ქუჩა, № 25ა, № 25 -ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.11.17.004.222; №01.11.17.004.445) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032515734-03 06.06.2025)
16.	ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, კოტე აფხაზის ქუჩა, № 29; №24; №22; №20; №20ა; №26; №28; №31-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.02.95.043; №81.02.03.414; №81.02.98.856; №81.02.29.119; №81.02.29.120; №81.02.03.472; №81.02.03.473; №81.02.03.471; №81.02.03.470; №81.02.29.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032516048-03 09.06.2025)
17.	ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: №01.81.02.365.115; 01.81.02.365.125; 01.81.02.365.122; 01.81.02.365.120; 01.81.02.365.109; 01.81.02.365.113; 01.81.02.365.118; 01.81.02.365.081; 01.81.02.226.385; 01.81.02.365.123) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032516712-03 16.06.2025)
18.	ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.11.765) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032516724-03 - 16.06.2025)
19.	ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრადის ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.016.776) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032516934-03 -18.06.2025)
20.	„ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა №20დ; №18 (ნაკვ. 28/13) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.17.12.028.022; №01.17.12.028.021; №01.17.12.028.029; №01.17.12.028.028) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20

	ოქტომბრის №522 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032514930-03 29.05.2025)
21.	„ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის 2014 წლის 5 მაისის №985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03251502-03 30.05.2025)
22.	„ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №6; ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/067) არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.289; №01.14.06.008.310; №01.14.06.008.309; №01.14.06.008.067) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №408 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03251531-03 02.06.2025)
23.	„ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩა №1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.16.014.089; №01.14.16.014.002) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 1 ივნისის №210 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03251532-03 02.06.2025)
24.	„ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე №34-ში, №38ა-ში და ქავთარაძის ქუჩა №5-ში, ამხანაგობა „ქავთარაძე 2005“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივი, სავაჭრო- საყოფაცხოვრებო ფუნქციის ობიექტები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 4 ივნისის №01/661 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032515641-03 05.06.2025)
25.	„ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის (ნაკვეთი 14/174); ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების, IV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.36.014.174; №01.19.36.016.765) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის №255 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032515723-03 06.06.2025)
26.	ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.004.002-ის ნაწილი) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032516047-03 09.06.2025)
27.	„ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, N32გ; ვაშლიჯვრის დასახლება, გელოვანის ქუჩა №6 და №6-ის მიმდებარედ; გელოვანის ქუჩა №6, ნაკვეთი №01.10.10.022.019-ის მიმდებარედ;

	ვაშლიჯვრის დასახლება, ნაკვეთი №002/009-ის მიმდებარედ; ცილა გაბაშვილის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.022.331) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N625 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032516732-03 -16.06.2025)
28.	ქალაქ თბილისში, დიდშის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.244; N01.72.14.008.245; N01.72.14.008.295) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N143 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს № 12-03251697-03 -18.06.2025)
29.	ქალაქ თბილისში, წუცუბიძის ქუჩა №5, №3; ქალაქი თბილისი, ქუჩა წუცუბიძე, სმენადაჭეითებულთა სკოლა-ინტერნატის გვერდით (ნაკვეთი 25/020); ქალაქი თბილისი, ბუდაპეშტის ქუჩა №28-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.15.025.020, №01.14.15.025.033, №01.14.15.025.027; №01.14.15.025.032) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტს დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032514838-03 28.05.2025)
30.	ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №37-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.019.003) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032515634-03 05.06.2025)
31.	ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.81.02.261.016, №01.81.02.261.026, №01.81.02.261.015) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032516051-03 09.06.2025)
32.	ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისი, "ჭაობთან"; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, ბურღის მიწის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №№72.16.18.089-ის ნაწილი; 72.16.18.744; 72.16.18.740) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე რესტორნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032516445-03 13.06.2025)
33.	ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს (ნაკვ. 01/010) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.18.006.223; N01.10.18.006.222) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032512121-03- 01.05.2025)
34.	ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.97.291; N81.02.06.574; N81.02.06.575; N81.02.06.596; N81.02.06.595; N81.02.06.588; N81.02.06.577; N81.02.06.578; N81.02.06.579) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03251698-03 -18.06.2025)

35.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნ.გ.ბ.“-ს (ს/ნ. 405193678) შორის 2024 წლის 24 ივლისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ნ.გ.ბ.“-ის გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032516449-03 13.06.2025)
36.	„მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114) და შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის გასატარებელი ხელშეწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონების/ ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემისა და N01.10.13.015.114 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს (საკრებულოს №12-032516776-03- 16.06.2025)
37.	„მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის დაინტერესებული პირის - შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიმართ გაცემული ხელშეწყობი ღონისძიებების გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს (საკრებულოს №12-032516776-03- 16.06.2025)

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" (საკრებულოს №12-032516961-03 18.06.2025)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (45 650,0 ათასი ლარი) გამოყენების, მიმდინარე წელს ფაქტურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 700,0 ათასი ლარით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 16 მაისის MOH 4 25 00543573 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური

მომსახურების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 22 მაისის N15-01251422201 წერილი), ხოლო სხვა შემოსავლების ნაწილში მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 800,0 ათასი ლარით და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/რანაცვლების ხელშეწყობისთვის) - 15 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ 62 150,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 271 497,5 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 4 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) - 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) - 1 200,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) - 600,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) - 165,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) - 800,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) - 1 600,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) - 1 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 950,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) - 800,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 2 000,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) - პროგრამის ასიგნებები - 2 000,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 10 850,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) - 3 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 450,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) - 1 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 550,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 600,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 1 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 1 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისი რაიონში (კოდი 02 09 18) - 250,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 600,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებების (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები - 2 000,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 700,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 400,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 450,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 1 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) - 1 950,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 925,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების

განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) – 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) – 200,0 ათასი ლარით, გაფანტული სკლერიზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 800,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 100,0 ათასი ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 300,0 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 500,0 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) – 500,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) – 250,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) – 60,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) – 150,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) – 70,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) – 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 350,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 240,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 150,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 225,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 150,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 230,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 200,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 100,0 ათასი ლარით, პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 27) – 700,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 3 000,0 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 2 800,0 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 232,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები – 800,0 ათასი ლარით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის (კოდი 08 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 70,0 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები – 14,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ასიგნებები – 953,6 ათასი ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ზიგ-ზენდი" (კოდი 08 04 01) – 44,0 ათასი ლარით, ხელოვნების მეგობრისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) – 27,7 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 60,4 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები – 900,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 2 900,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 400,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 60,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 100,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 08 11 07) – 100,0 ათასი ლარით, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) პროგრამის ასიგნებები – 9,6 ათასი ლარით, ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 13) – 50,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის

საკრებულო (კოდი 10 01) – 1 500,0 ათასი ლარით, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 75,0 ათასი ლარით. ამასთან, ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა - რეგმატოიდული ართროიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 10) – 300,0 ათასი ოდენობით. მცირდება შემოქმედებითი თბილისის (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები - 61,3 ათასი ლარით და თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მოშსახურება II ფაზა (კოდი 10 47) – 3 000,0 ათასი ლარით. გარდა ამისა, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ფარგლებში, გაიზარდა ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა 5 ერთეულით, ხოლო ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 18 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში შემცირდა 13 ერთეულით და განისაზღვრა 4957 ერთეულით. ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 014 077,0 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 257 420,6 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 934 077,0 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 987,349.2 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 255 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 45 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი – 20 000,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი – 667 349,2 ათასი ლარი. გრანტები 595 513,2 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 430,0 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსაზღვრის შემთხვევაში 1 783,2 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 580 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 13 300,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 351 214,6 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 25 599,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 95 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 115 000,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 23 791,4 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები – 41 824,2 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 271 497,5 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 1 752 684,7 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 477 357,5 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 41 455,3 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 181 392,3 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 397 357,5 ათას ლარს, მათ შორის: - არაფინანსური აქტივების ზრდა – 477 357,5 ათასი ლარი. - არაფინანსური აქტივების კლება – 80 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (257 420,6) ათას ლარს, მათ შორის: - ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება) – 257 420,6 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (41 455,3) ათას ლარს, მათ შორის: - ვალდებულებების კლება 41 455,3 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (215 965,3) ათასი ლარით. გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა): დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ბუაძემ.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №713 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032514852-03 28.05.2025)

საკითხი წარმოადგინა შპს "თბილისერვის ჯგუფი" - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა დავით ჩანჭსელიანმა. მისი თქმით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისერვის ჯგუფის“ (ს/ კ 206267494) დაფინანსების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 26 დეკემბრის N24.2303.2597 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 27 მაისის N 25.860.966 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვადასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N713 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს პროექტზე თანდართული მისამართებით.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032516935-03- 18.06.2025)

საკითხი წარმოადგინა ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორმა თამაზ ალიბეგაშვილმა. მისი თქმით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილების საფუძველზე, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ქალაქთმშენებლობის უზრუნველყოფისა და დედაქალაქის იერსახეზე ზრუნვის მიზნით, დადგინდა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პრობლემა და პროცედურა. წესის თანახმად, ავარიული სახლის ჩანაცვლებად განისაზღვრა დემონტაჟი და მის ადგილას ახალი და მდგრადი შენობა-ნაგებობის განთავსება ან/და საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა, ისე რომ დაცული იქნას დაინტერესებული პირების საკუთრების უფლება და სხვა კანონიერი ინტერესები. აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავარიული სახლების ჩანაცვლებას ახორციელებს პროექტის განმახორციელებელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისის განვითარების ფონდი“ (ს/ნ 404384974) (შემდგომში - „ფონდი“). წესის მიზნებისათვის ავარიული სახლი განიმარტება, როგორც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა, მათ შორის ე.წ. „ბარაკები“, რომელთა ავარიულობის ხარისხი არის V, IV, ან III კატეგორია და უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და ექვემდებარება დემონტაჟს ან უკვე დემონტირებულია. ავარიული სახლის ადგილას აშენებულ ახალ შენობა-ნაგებობაში, დაინტერესებულ პირს გადაეცემა არანაკლებ მის საკუთრებაში არსებული ფართობის ტოლი ფართობი ჩასანაცვლებელი სტატუსის შესაბამისად. შემოთავაზებული ცვლილება განპირობებულია პროგრამის განმახორციელებლისათვის სამუშაო პროცესში გამოვლენილ მოთხოვნათა მრავალფეროვნებით. ცვლილების მიზანია სამართლებრივად მოწესრიგდეს ავარიული სახლების ჩანაცვლების სამუშაოების განხორციელების პერიოდში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ფონდის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების (რომელიც ფონდის ბალანსზე ფიქსირდება) ჩამოწერის საკითხი. ამასთან, წესში დასამატებელია ავარიული სახლების ჩანაცვლების სამუშაოთა მიმდინარეობის პერიოდში შეძენილი/წარმოქმნილი/შექმნილი მოძრავი ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებით, შესაბამისი მარეგულირებელი დებულება და განსაზღვრია პირი, რომელიც უზრუნველყოფს ავარიული სახლის ჩანაცვლების შედეგად წარმოშობილი, საერთო სარგებლობის მოძრავი ქონების შესაბამის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის გადაცემას/განკარგვას. ასევე, სამართლებრივად წესრიგდება მოძრავი ქონების, მისი ოდენობის, ღირებულების და დასახელების განსაზღვრის საკითხი. ა.ე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი: ზოგადი წესის თანახმად, განსაზღვრულია ავარიული მრავალბინიანი სახლების ჩანაცვლების პროექტირების ფარგლებში წარმოშობილი უძრავი ქონების აღრიცხვისა და განკარგვის წესი, თუმცა ამჯერად აღნიშნულ დადგენილებას ემატება 4¹ მუხლი, რომლის თანახმადაც განისაზღვრება ავარიული სახლების ჩანაცვლების სამუშაოების განხორციელების პერიოდში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ფონდის მიერ შესყიდული სამუშაოების (რომელიც ფონდის ბალანსზე ფიქსირდება) ჩამოწერის საკითხი. ამასთან, წესში ემატება ავარიული სახლების ჩანაცვლების სამუშაოთა მიმდინარეობის პერიოდში შეძენილი/წარმოქმნილი/შექმნილი მოძრავი ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებით, შესაბამისი მარეგულირებელი დებულება და განისაზღვრება პირი, რომელიც უზრუნველყოფს ავარიული სახლის ჩანაცვლების შედეგად წარმოშობილი, საერთო სარგებლობის მოძრავი ქონების შესაბამის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის გადაცემას/განკარგვას.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა საბა ბუაძემ.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა №17 და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.17.003.440, ფართობი - 1747 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებული ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03251488-03 28.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 23 აპრილის N01251131068-67 (N01251182255-67) განცხადებით მისამართზე: ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა N17 და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.003.440) შესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.11.17.003.440 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=5.0), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.11.17.003.440 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა I (სსზ - I). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 ივნისის N7062944 ბრძანებით (შესულია ცვლილება 2024 წლის 31 დეკემბრის N7327394 ბრძანებით, საკადასტრო კოდის დაზუსტების მიზნით) დადგენილია მიწის ნაკვეთის საშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=3.5). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 13 დეკემბრის N801.012434825 ბრძანებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.17.003.440) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (76%) განთავსების მიზნით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა I (სსზ-I) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს, იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა I (სსზ-I)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის

არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%- ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს – 90%-ისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5*/0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 3,5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0,2/0,3* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600/700* კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15/20* მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25/30* მ * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3,5-დან კ-2=5,0-მდე, რაც გულისხმობს 11 (თერთმეტი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01251131068-67 (N01251182255-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N001300125, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 2 161 039 ლარს, იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მოზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 926,159.58 (ცხრაას ოცდაექვსი ათას ას ორმოცდაცხრამეტი და ორმოცდათვრამეტი მესხედი) ლარით.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ბუაძემ.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №194-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003, ფართობი - 17 000 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032514850-03 28.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 12 მარტის

შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01251472751-67 (N0125163610-67; N01251633609-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N003048125, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 15 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 3 053 314 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება: პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 977,060.48 (ცხრაას სამოცდაჩვიდმეტი ათას სამოცი და ორმოცდარვა მესხედი) ლარით.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ბუაძემ.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

12. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03251486-03 28.05.2025; №12-032511417-03 -24.04.2025 - გადადებული „გ“ პოზიცია; №12-032514931-03 29.05.2025; №12-03251501-03 30.05.2025; №12-032515625-03 05.06.2025; №12-032516431-03 13.06.2025; №12-03251699-03 - 18.06.2025; №12-032514853-03 28.05.2025 (არეალზე ცვლილება))

კომისიამ განიხილა თბილისის მერიის წერილებით (საკრებულოს №12-03251486-03 28.05.2025; №12-032511417-03 -24.04.2025 - გადადებული „გ“ პოზიცია; №12-032514931-03 29.05.2025; №12-03251501-03 30.05.2025; №12-032515625-03 05.06.2025; №12-032516431-03 13.06.2025; №12-03251699-03 - 18.06.2025; №12-032514853-03 28.05.2025 (არეალზე ცვლილება)) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაზე (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 30 წინადადება.

№12-03251486-03 28.05.2025;

ა) ქალაქ თბილისში, ივანე ბერიტაშვილის IV შესახვევი, N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.15.003.152) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონის დაბრუნება და ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, N01.14.15.003.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 20 დეკემბრის N01243552589 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა. ამასთან, 2025 წლის 14 მაისის N61-01251343581 წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო, როგორც ქონების განმკარგავი, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე განხორციელდეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონის დაბრუნება, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილებას განიხილავს, როგორც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევას. ამასთან, თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილოს N01.14.15.003.128 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია იმყოფება საპროექტო მიწის ნაკვეთის თანაბარ პირობებში, საერთო მახასიათებლების მქონე გარემოგანაშენიანებაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ივანე ბერიტაშვილის IV შესახვევი, N1- ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.15.003.152), ასევე, N01.14.15.003.128 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, გორის ქუჩა, N27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.059) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება. ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 15 მაისის N01251351162 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გორის ქუჩა, N27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.059) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ზაქარიაძის ქუჩა, N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.15.016.003) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მრავალბინიანი სახლისათვის მიწის ნაკვეთის საზღვრების (ე.წ. „წითელი ხაზები“) დადგენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 14 აპრილის N01251041273 წერილით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობის ნაწილზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზაქარიაძის ქუჩა, N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.15.016.003) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

№12-032511417-03 -24.04.2025 - გადადებული „გ“ პოზიცია;

კომისიამ ხელახლა განიხილა (კომისიის სხდომის ოქმი №63. 20.05.2025წ) გადადებული ფუნქციური ზონის ცვლილება. გ) ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი, N140ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.13.04.017.030) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 16 აპრილის N01251063687 წერილით კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების ფენის მოხსნა. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი, N140ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.04.017.030) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია

№12-032514931-03 29.05.2025;

ა) ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირის N17ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.07.016.018) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1), საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 2-ისა (სსზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. N01.12.07.016.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონის დაბრუნება. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დავით გურამიშვილის გამზირთან უშუალო სიახლოვეს და ხასიათდება უმეტესად საცხოვრებელი ფუნქციის მქონე განაშენიანებით. ტერიტორიის გეგმარებითი ხასიათის გათვალისწინებით, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია საპროექტო ტერიტორიას დაუბრუნდეს მოთხოვნილი ზონირება და მასზე გავრცელდეს საცხოვრებელი ზონა (სზ). ამასთან, ვინაიდან ტერიტორიას არ აქვს მინიჭებული კონკრეტული ქვეზონა, ნაკვეთისთვის კონკრეტული ქვეზონის პარამეტრების მინიჭების მიზნით წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-19 მუხლის (სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტების დადგენა ჩამოყალიბებული განაშენიანების პირობებში) 1 პუნქტის შესაბამისად. განვითარების რეგლამენტები ან/ და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები შეიძლება დადგინდეს დაგეგმარებითი თვალსაზრისით მოწესრიგებული ტერიტორიის (მაგ.: კვარტალის) კვლევის საფუძველზე მიღებული არსებული მდგომარეობის შესაბამისად ან 50 მეტრის გარშემო მდებარე ტერიტორიის კვლევის საფუძველზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 21 მაისის N01251411506 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირის N17-ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.07.016.018) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 -ისა (სსზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, გლდანის I მასივში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.31.444) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. N72.13.31.444 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ხარვეზის სახით გავრცელებული სატრანსპორტო ზონის მოხსნა, შემდგომში მასზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 28 მაისის N0125148550 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მერიის ერთიანი ინტერაქტიული რუკის მონაცემებით ფაქტობრივი გზა ფიქსირდება განსახილველი მიწის ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე და საპროექტო მონაკვეთზე არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ამასთან, ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, მიზანშეწონილია მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დაკორექტირდეს ფაქტობრივად არსებულ გზასთან შესაბამისობაში, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) მოიხსნას N72.13.31.444 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში და გავრცელდეს სამხრეთ-დასავლეთით

არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ფაქტობრივ გზაზე. სატრანსპორტო ზონის ერთიანი, ჯგეროვანი კავშირის შექმნის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის I მასივში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.31.444), ასევე, N72.13.31.412 და N72.13.31.594 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და საცხოვრებელი ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, კუკური გოგიაშვილის I შესახვევის N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.827) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. N01.72.14.013.827 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში მისი სამშენებლოდ განვითარება. საპროექტო არეალზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 1 (ს-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 20 მაისის N01251403334 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N01.72.14.013.827 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომოჯნავე დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მცირე მონაკვეთზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კუკური გოგიაშვილის I შესახვევის N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.827) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, დასახლება ნავთლული, შესახვევი VI, N12-14/75; ქალაქი თბილისი, ვასილ კობცოვის ქუჩა N77ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.17.09.040.028, N01.17.09.040.041) ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს N01.17.09.040.028 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება. ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 27 მაისის N0125147865 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მერიის ერთიან რუკასა და განცხადებაში წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით, საპროექტო ტერიტორიაზე, გიორგი ბოჭორიძის ქუჩის მხარეს, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ნაწილი ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობის და ლობის მონაკვეთზე. შესაბამისად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დასახლება ნავთლული, შესახვევი VI, N12-14/75; ქალაქი თბილისი, ვასილ კოპკოვის ქუჩა N77ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.17.09.040.028, N01.17.09.040.041) ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღება;

ე) ქალაქ თბილისში, დავით ბერიაშვილის I ჩიხი, N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.04.050.046) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-თ (სზ-2) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ) ქალაგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია რომ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) ნაცვლად შეიცვალოს საცხოვრებელი ზონით (სზ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 27 მაისის N01251471946 წერილით მიხედვით, ქალაქ თბილისის მერიის ერთიან რუკასა და განცხადებაში წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ფაქტობრივად ვრცელდება შენობა-ნაგებობის და ლობის მონაკვეთზე. ამასთან, არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, მიზანშეწონილია N01.16.04.050.020 და N01.16.04.050.047 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გაუქმდეს დოღო ჭიჭინაძის I ჩიხამდე. არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.16.04.050.046 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.16.04.050.047, N01.16.04.050.020) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით ბერიაშვილის I ჩიხი, N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.16.04.050.046, N01.16.04.050.047, N01.16.04.050.020) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონის (სზ) ცვლილება მისაღება.

№12-03251501-03 30.05.2025;

ა) ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.342) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.342) ნავთობბაზის სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის N198 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალს მიღმა, N01.19.26.004.010 და N01.19.26.002.057 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით შემოადგინებულ ტერიტორიაზე ხორციელდება სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. შემოადგინებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.342) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, N01.19.26.004.010 და N01.19.26.002.057 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღება.

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ წავეისში, მარიჯანის ქუჩა N26-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.02.355.069) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, სოფელ წავეისში, მარიჯანის ქუჩა N26-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: N01.81.02.355.069) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის N194 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. შემოადგინებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავეისში, მარიჯანის ქუჩა N26-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.02.355.069) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

გ) ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.007.061; N01.10.10.007.080; N01.10.10.007.081) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ში (ნაკვეთი 07/029); ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.007.061; N01.10.10.007.080; N01.10.10.007.081) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის N196 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალს მიღმა, N01.10.10.007.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ხორციელდება სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.007.061; N01.10.10.007.080; N01.10.10.007.081) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, N01.10.10.007.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

დ) ქალაქ თბილისში, ერწოს ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.08.014.009) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, გლდან-ნაძალადევის რაიონში, ერწოს ქ. N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (N14/3, N14/005) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 19 ოქტომბრის N01/1528 ბრძანება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N01.12.08.014.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ხორციელდება სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ერწოს ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.08.014.009) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, N01.12.08.014.009 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მოსაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, დიდი ხეივანის ქუჩა N36-ში; ირაკლი ჟორდანიას II შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.05.006.191, N01.18.05.006.031, N01.18.05.006.114, N01.18.05.006.211, N01.18.05.006.212, N01.18.05.006.190, N01.18.05.006.188, N01.18.05.006.186, N01.18.05.006.187, N01.18.05.006.184, N01.18.05.006.182, N01.18.05.006.181, N01.18.05.006.128, N01.18.05.006.129, N01.18.05.006.189, N01.18.05.006.183, N01.18.05.006.149, N01.18.05.006.151, N01.18.05.006.152, N01.18.05.006.163, N01.18.05.006.164, N01.18.05.006.198, N01.18.05.006.197; N01.18.05.006.185) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დიდი ხეივანის ქუჩა N36-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის N122 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდი ხეივანის ქუჩა N36-ში; ირაკლი ჟორდანიას II შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.05.006.191, N01.18.05.006.031, N01.18.05.006.114, N01.18.05.006.211, N01.18.05.006.212, N01.18.05.006.190, N01.18.05.006.188, N01.18.05.006.186, N01.18.05.006.187, N01.18.05.006.184, N01.18.05.006.182, N01.18.05.006.181, N01.18.05.006.128, N01.18.05.006.129, N01.18.05.006.189, N01.18.05.006.183, N01.18.05.006.149, N01.18.05.006.151, N01.18.05.006.152, N01.18.05.006.163, N01.18.05.006.164, N01.18.05.006.198, N01.18.05.006.197; N01.18.05.006.185) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მისაღება; ვ) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.14.16.009.237; N01.14.16.009.490-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.14.16.009.237; N01.14.16.009.490-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის N197 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.14.16.009.237; N01.14.16.009.490-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

ზ) ქალაქ თბილისში, სოფელ დილოშში, „ქოშიგორაზე“; ქალაქ თბილისში, უდაბნოს მონასტრის ქუჩა N58, N62, N64, N66, N60, N68-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ დილოშში, „ნატბეურში“ მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.045.608; N01.72.14.045.023; N01.72.14.045.024; N01.72.14.045.019; N01.72.14.045.017; N01.72.14.045.016; N01.72.14.045.015; N01.72.14.045.020; N01.72.14.045.026; N01.72.14.045.359; N01.72.14.045.358; N01.72.14.045.022; N01.72.14.045.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, სოფელ დილოშში, „ქოშიგორაზე“; ქალაქ თბილისში, უდაბნოს მონასტრის ქუჩა N58, N62, N64, N66, N60, N68-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ დილოშში, „ნატბეურში“ მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.045.608; N01.72.14.045.023; N01.72.14.045.024; N01.72.14.045.019; N01.72.14.045.017; N01.72.14.045.016; N01.72.14.045.015; N01.72.14.045.020; N01.72.14.045.026; N01.72.14.045.359; N01.72.14.045.358; N01.72.14.045.022; N01.72.14.045.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის N195 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დილოშში, „ქოშიგორაზე“; ქალაქ თბილისში, უდაბნოს მონასტრის ქუჩა N58, N62, N64, N66, N60, N68-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ დილოშში, „ნატბეურში“ მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.045.608; N01.72.14.045.023; N01.72.14.045.024; N01.72.14.045.019; N01.72.14.045.017; N01.72.14.045.016; N01.72.14.045.015; N01.72.14.045.020;

N01.72.14.045.026; N01.72.14.045.359; N01.72.14.045.358; N01.72.14.045.022; N01.72.14.045.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება.

№12-032515625-03 05.06.2025;

ა) ქალაქ თბილისში, რევოლუციის II ჩიხი N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.002.083) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილოს არეალზე, მიმდებარე არსებულ რეგისტრაციებსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. ვინაიდან, ტერიტორიას გააჩნია საერთო ქალაქგეგმარებითი მახასიათებლები და გეგმარებითი სტრუქტურა. საპროექტო ტერიტორიაზე, ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ზონირების დაბრუნება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 27 მაისის N18-01251473193 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნითა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რევოლუციის II ჩიხი N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.002.083) ასევე, 01.11.04.002.023, 01.11.04.002.015, 01.11.04.002.029, 01.11.04.002.003, 01.11.04.002.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.051.002) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. N01.19.23.051.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ზონირების დაბრუნება და შემდგომ სამშენებლოდ განვითარება. საპროექტო ტერიტორიას უშუალოდ ემთხვევა მოთხოვნილი - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), რომელზეც განთავსებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 27 მაისის N01251473188 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას

თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოიქმნება ხარვეზი. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.19.23.051.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.051.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა, კორპ. N29დ-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.337) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. N01.19.23.002.337 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ზონირების დაბრუნება და შემდგომ სამშენებლოდ განვითარება. საპროექტო ტერიტორიას უშუალოდ ემოჯინება მოთხოვნილი - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ გააჩნია ფრაგმენტული ხასიათი. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2025 წლის 2 მაისის N01251222510 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ- რუკაში წარმოიქმნება ხარვეზი. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.19.23.002.337 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნითა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა, კორპ. N29დ-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.337) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით

(სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღება;

დ) ქალაქ თბილისში, მუხიანის 2-ის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.13.571.131) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 23 მაისის N01251433187 წერილით, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული ფენა (რზ). საპროექტო მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა I (სზ-1). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, მუხიანის 2-ის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.13.571.131) ნაწილზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა, მისაღება;

ე) ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩის I გასასვლელი N88-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.13.002.029) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა. N01.14.13.002.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წამოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ზონირების - საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) დაბრუნება. ამასთან, საპროექტო რეგისტრაციაზე ფაქტობრივი მდგომარეობით განთავსებულია შენობა-ნაგებობა, ინდ. საცხოვრებელი სახლი, რომელიც ტერიტორიაზე ფიქსირდება 2005 წლის აერო-გადაღების მონაცემებით. აღნიშნული გახდა საფუძველი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების. ამასთან, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი 2015 წლის 3 მარტის AR1273520 განცხადებით საპროექტო ტერიტორიაზე განხილულ იქნა ფუნქციური ზონის ცვლილების შესაძლებლობა. საკითხი განიხილა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭომ და სხდომის ოქმი N2-ით N01.14.13.002.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდა ფუნქციური ზონის ცვლილება შემდგომში ლეგალიზების მიზნობრიობის გათვალისწინებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 15 მაისის N01251352828 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული ფენა (სატყეო ზონა). ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩის I გასასვლელი N88-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:

N01.14.13.002.029) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღება.

№12-032516431-03 13.06.2025;

ა) ქალაქ თბილისში, სამადლოს უბანში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.81.01.246.021; N01.81.01.246.042) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განიხილება სარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა. კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე №38/60-23) გურამ პაპაშვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გურამ პაპაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N19.1396.1749 განკარგულება, კერძოდ, სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონებაზე უარის თქმის შესახებ - ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N81.01.02.923, N81.01.02.924 (ახალი საკადასტრო კოდები: N01.81.01.246.021; N01.81.01.246.022) მიმდებარედ სარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების საკითხზე) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას დაეცა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა N01192603326-67 განცხადებაში მითითებული მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების თაობაზე და აღნიშნული მიზნით („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ. N01192603326-67 განცხადებით წარდგენილი მიწის ნაკვეთის ელექტრონული ვერსია, დღეის მდგომარეობით, მოიცავს N01.81.01.246.021 (წინა საკადასტრო კოდი: N81.01.02.924); N01.81.01.246.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 28 თებერვლის N18-01250593353 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ წარმოდგენილ არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება, კერძოდ სარეკრეაციო ზონა (რზ) შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა (რზ). ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო, 2025 წლის 5 ივნისის N61-01251563013 წერილით, იმ შემთხვევაში თუ, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთვის ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მისაღებია აღნიშნული ცვლილება, სსიპ ქონების მართვის სააგენტო, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებულ დაურეგისტრირებელ სივრცეზე, რომელიც ქალაქ

თბილისის მუნიციპალური ინტერესიდან გამომდინარე მომავალში შესაძლებელია აღირიცხოს მის საკუთრებად, გავრცელებული სარეკრეაციო ზონა (რზ) შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 24 თებერვლის N16-01250553596 წერილის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთს ფაქტობრივად გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია და წარმოადგენს მისასვლელ გზას მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სამადლოს უბანში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.81.01.246.021; N01.81.01.246.042) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა მისაღებია;

20. ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა №20დ; №18 (ნაკვ. 28/13) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.17.12.028.022; №01.17.12.028.021; №01.17.12.028.029; №01.17.12.028.028) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №522 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032514930-03 29.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა N5, N28, N3; ქალაქი თბილისი, ქუჩა ნუცუბიძე, სმენადაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატის გვერდით (ნაკვეთი 25/020) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.17.12.028.022, 01.17.12.028.028, 01.17.12.028.021, 01.17.12.028.029) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, არეალის ჯამური ფართობი 17 174 კვ.მ. დაურეგისტრირებული ნაწილი წარმოადგენს ნაკვეთებს შორის არსებულ სივრცეებს. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით ხდება ფართის უცვლელად ადგილმონაცვლეობა, აღნიშნული 4 კვ.მ. რჩება ისევ დაურეგისტრირებელ ტერიტორიად. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N522 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით საპროექტო მიწის ნაკვეთებს დაუდგინდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ტერიტორია დაყოფილია 4 სექტორად, სადაც დაგეგმილია 6, 7, 8, 16 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსება. საპროექტო არეალში შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი N01.17.12.028.028 – 940 კვ.მ. რომელიც არსებული მდგომარეობით წარმოადგენს შეუსაბამო მიწის ნაკვეთს. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით დაგეგმილი მისი საზღვრების ცვლილება ფართის უცვლელად, რომელზეც განთავსდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო წინადადება: საპროექტო წინადადება დამუშავებულია ქალაქ თბილისის მთავრობის 2025 წლის 22 იანვრის N25.38.61 განკარგულებისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 24 იანვრის ხელშეკრულების შესაბამისად, პერსპექტიული საბაგირო დერეფნის დაცვის ბუფერში არსებული მიწის ნაკვეთის N01.17.07.043.034 - 1749 კვ.მ. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, N01.17.12.028.029 - 15 345 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე გაიზარდა კ-2 კოეფიციენტი 0,3 ერთეულით; 2,5-დან 2,8-მდე. შესაბამისად, სამშენებლო მოცულობა გაიზარდა 4605 კვ.მ.-ით. განაშენიანების რეგულირების პროექტის მიხედვით აღნიშნული მიწის ნაკვეთი (N01.17.12.028.029) დაყოფილია ორ სექტორად N1 – 7672 კვ.მ. N2 – 7673

კვ.მ. ზემოაღნიშნული განკარგულებით მომეტებული სამშენებლო მოცულობა ათვისებულია მხოლოდ ერთ სექტორში, N2- სექტორის კ-2 კოეფიციენტი გაიზარდა 2,5-დან 3,1-მდე. შესაბამისად, გაიზარდა სართულიანობა 16-დან 19 სართულამდე. კორექტირებით ასევე შეიცვალა შენობათა განთავსება, N1 და N2 სექტორებში წარმოდგენილია 16 და 19 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებლები. სიმაღლე და სართულიანობა დაზუსტდა N1, N3, N4 სექტორებში, კერძოდ, N1 სექტორში გაიზარდა 1 მეტრით, გახდა 51 მეტრი, N3 – 25,6 მ. ნაცვლად 26 მეტრი (8 სართული). N4 - დაემატა ერთი სართული, 7-ის ნაცვლად გახდა 8 სართულიანი, შესაბამისად, სიმაღლე გაიზარდა 25 მეტრიდან 29,3 მეტრამდე. დადგენილი ფუნქციური ზონირება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), კ-1 და კ-3 კოეფიციენტები, საანგარიშო ფართობებით რჩება უცვლელი. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: მიწის ნაკვეთები - N1 საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) – 7 672 კვ.მ. კ-1= 0,5 – 4211 კვ.მ. კ-2= 2,5 – 19 555 კვ.მ. კ-3= 0,3 – 2 302 კვ.მ. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მაქსიმალური სიმაღლე - 51 მეტრი სართულიანობა - 16 მიწისზედა სართული მიწის ნაკვეთები - N2 საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) – 7 673 კვ.მ. კ-1= 0,5 – 4212 კვ.მ. კ-2= 3,1 – 24 162 კვ.მ. კ-3= 0,3 – 2 302 კვ.მ. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მაქსიმალური სიმაღლე - 60,6 მეტრი სართულიანობა - 19 მიწისზედა სართული მიწის ნაკვეთები - N3 საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) – 940 კვ.მ. ქონების საკუთრება კ-1= 0,5 – 516 კვ.მ. კ-2= 2,5 – 2 396 კვ.მ. კ-3= 0,3 – 282 კვ.მ. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მაქსიმალური სიმაღლე - 26 მეტრი სართულიანობა - 8 მიწისზედა სართული მიწის ნაკვეთები - N4 საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) – 885 კვ.მ. კ-1= 0,5 – 485 კვ.მ. კ-2= 2,5 – 2 255 კვ.მ. კ-3= 0,3 – 266 კვ.მ. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მაქსიმალური სიმაღლე - 29,3 მეტრი სართულიანობა - 8 მიწისზედა სართული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2025 წლის 29 აპრილის N01251192474 წერილის შესაბამისად, სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 14 მაისის N01251341634 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგ.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ზუაძემ.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

21. „ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 მაისის №985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03251502-03 30.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, საპროექტო

ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, გურამ რჩეულიშვილის II ჩიხი, N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.02.055.264); საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი: 3028,0 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს N440 განკარგულებით დამტკიცდა „ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორიის (სექტორი N3) განვითარება განისაზღვრა საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), კ-2 - 2,5 (7 570 კვ.მ.). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N38 განკარგულებით შეთანხმდა ხელშეწყობი ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/განაგებების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გურამ რჩეულიშვილის II ჩიხი, N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.15.02.055.264, ფართობი - 3028კვ.მ.) მიმართებით, რომლის მიხედვითაც: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2,5- დან კ-2=3,5-მდე; ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე; ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე, წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების ფარგლებში, საპროექტო მიწის ნაკვეთისთვის კ-2 კოეფიციენტის გადამეტება განისაზღვრა კ-2=2,5-დან კ-2=3,5-მდე; საპროექტო პარამეტრები განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების მიხედვით: სექტორი N3 - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) კ-1 - 0,4 - 1 239,8 კვ.მ კ-2 - 3,5 - 10 746,4 კვ.მ კ-3 - 0,6 - 1 771 კვ.მ შენობების რაოდენობა - 2 შენობა შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სართულიანობა /სიმაღლე - 16 სართული (15 მიწისზედა, 1 მიწისპირა, 2 მიწისქვეშა) / 48 მ. ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 22 მაისის N 01251422446 წერილის შესაბამისად, სააგენტო, არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ზუაძემ.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

22. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №6; ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/067) არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.289;

№01.14.06.008.310; №01.14.06.008.309; №01.14.06.008.067) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №408 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03251531-03 02.06.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.364). არეალის ჯამური ფართობი: 11 786 კვ.მ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N408 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N408 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით, დაგეგმილი იყო ერთი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განთავსება, რომელიც შედგებოდა 2 სართულიანი კომერციული განივი და 33 სართულიანი მაღლივი ნაგებობისაგან. საპროექტო შენობა წარმოადგენდა სრულიად საზოგადოებრივ ფუნქციებს: საოფისე -75%; კომერციული - 25%. ნაკვეთები - 11 886 სსზ - 1 - 11 886 კვ.მ. კ-1= 0,4 - 4 171 კვ.მ. კ-2= 3,5 - 42 180 კვ.მ. კ-3= 0,4 - 5 185 კვ.მ. საზოგადოებრივი ფუნქცია - 100% სართულიანობა - 2 - 33 2 სართულიანი კომერციული განივი შენობა, ხოლო 33 მაღლივი საოფისე მაქსიმალური სიმაღლე - 126 მეტრი კორექტირებით მოთხოვნილია საზოგადოებრივი ფუნქციის ცვლილება 63% საცხოვრებელი ფუნქციით. გაიზარდა 2 სართულიანი კომერციული განივი შენობის სიმაღლე 6 სართულამდე, ხოლო მაღლივი შენობის სართულიანობა შემცირდა 33-დან 31-მდე, თუმცა გაიზარდა მისი გაბარიტები. 100 კვ.მ.-ით შემცირდა არეალი, რამაც გამოიწვია მცირედი ცვლილებები პარამეტრებში. შემცირდა კ-1, კ-2 და კ-3 კოეფიციენტების საანგარიშო ფართობები. კორექტირების ფარგლებში, იცვლება საავტომობილო მოძრაობის სქემაც, ემატება პანდუსი. კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის პარამეტრები: ნაკვეთები - 11 786 სსზ - 1 - 11 786 კვ.მ. კ-1= 0,3 - 4 000 კვ.მ. კ-2= 3,5 - 41 774 კვ.მ. კ-3= 0,4 - 4 716 კვ.მ. საცხოვრებელი 63 % - საზოგადოებრივი - 37 % სართულიანობა - 6 - 31 6 სართულიანი კომერციული განივი შენობა, ხოლო 31 სართულიანი მაღლივი საცხოვრებელი; მაქსიმალური სიმაღლე - 115 მეტრი. განაშენიანების რეგულირების წესების 16 1 მუხლის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა, რომელიც დგინდება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრება აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2)

ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, გათვალისწინებულია საცხოვრებლისთვის დასაშვები 25%-იდან, ნამატი 38%-ის 4% (635 კვ.მ.), ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ფართობი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2025 წლის 20 მაისის N01251403466 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 19 მაისის N01251392691 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6; ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/067) არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.289; N01.14.06.008.310; N01.14.06.008.309; N01.14.06.008.067) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N408 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ზუაძემ.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

23. „ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩა №1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.014.089; N01.14.16.014.002) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 1 ივნისის №210 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03251532-03 02.06.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია, რომელსაც ეხება კორექტირება, მდებარეობს ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.002). საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი: 9753 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩა N1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.014.089; N01.14.16.014.002) მრავალფუნქციური საცხოვრებელი

კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 1 ივნისის N210 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: ნაკვეთი N1 - 9753 - სსზ - 2 კ-1= 0,5 - 5360 კვ.მ. კ-2= 4,5 - 44 000 კვ.მ. კ-3= 0,3 - 2440 კვ.მ. საცხოვრებელი: 70%; კომერციული და სხვა ფუნქციები: 30% მაქსიმალური სართულიანობა - 15 მიწისზედა სართული. N01250854028-67 (N01251191475-67; N01251375-67) განცხადებაზე წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მიხედვით, დადგენილი კ-2=4,5-ის ფარგლებში გაიზარდა კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი 375 კვ.მ.-ით (44 375 კვ.მ.). ასევე, იზრდება ორი 13 სართულიანი ბლოკის სიმაღლე 14 და 15 სართულამდე, შენობათა განთავსება, დადგენილი კ-1, კ-3 კოეფიციენტები, ფუნქციური გადანაწილების პროცენტული მაჩვენებელი (70 % საცხოვრებელი, 30% კომერციული) რჩება უცვლელი. ამასთან, დაზუსტდა ავტოსადგომების რაოდენობა, წარმოდგენილი კორექტირებით მათი მინიმალური რაოდენობა დაანგარიშებულია მხოლოდ საცხოვრებელი ფუნქციისთვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: ნაკვეთი N1 - 9753 - სსზ - 2 კ-1= 0,5 - 5360 კვ.მ. კ-2= 4,5 - 44 375 კვ.მ. კ-3= 0,3 - 2440 კვ.მ. საცხოვრებელი ფუნქცია -70% - 31 062,5 კვ.მ. საზოგადოებრივი ფუნქცია - 30% - 13 312,5 კვ.მ. სართულიანობა - 15 მიწისზედა სართული. ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 19 მაისის N01251392096 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ბუაძემ.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

24. „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის გაშვირზე №34-ში, №38ა-ში და ქვეთარაძის ქუჩა №5-ში, ამზანაგობა „ქვეთარაძე 2005“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივი, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ფუნქციის ობიექტები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 4 ივნისის №01/661 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032515641-03 05.06.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია, რომელსაც ეხება კორექტირება მდებარეობს ქალაქ თბილისში, პეტრე ქვეთარაძის N20ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.040.544). ფართობი

წარმოადგენს 16 490 კვ.მ.-ს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1); სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). ასევე გამწვანებული ტერიტორიების ფენით - სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1); სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 4 ივნისის №01/661 ბრძანებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა. მას შემდგომ, აღნიშნული პროექტი რადენჯერმე დაკორექტირდა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N51 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. A1 სექტორზე (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.544) დაგეგმილი იყო ორი 25-25 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. ასევე, ნარჩუნდებოდა ნაკვეთის სამხრეთით არსებული 2 სართულიანი შენობა-ნაგებობა. ნაკვეთი A1 – 16 493 კვ.მ. სსზ - 2 – 13 710 კვ.მ. კ-1= 0,3 – 4567 კვ.მ. კ-2= 4,7 – 64022 კვ.მ. კ-3= 0,3 – 4113 კვ.მ. საცხოვრებელი 90 % - საზოგადოებრივი- 10 % სართულიანობა - 2 – 25 2 სართულიანი არსებული შენობა-ნაგებობა 25 სართული მრავალბინიანი საპროექტო მიწის ნაკვეთზე „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №20ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.14.03.040.544) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N528 განკარგულებით გაიზარდა კ-2 კოეფიციენტი 4,7-დან 5,2-მდე, რომლის შესაბამისადაც კორექტირდება განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. გაიზარდა სიმაღლე და სართულიანობა 3-3 სართულით. შენობის განთავსების არეალები რჩება უცვლელი. ასევე დადგენილი ზონირება ნარჩუნდება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1); სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). ნაკვეთის სამხრეთით არსებული 2 სართულიანი შენობა-ნაგებობა ნარჩუნდება არსებული მდგომარეობით, დაზუსტდა ფუნქცია და მისი რეკონსტრუქციის შემდგომ იქნება საბავშვო ბაღი. განაშენიანების რეგულირების წესების 16 2 მუხლის შესაბამისად, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა, რომელიც დგინდება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 4%-ისა და 16 1 მუხლით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიების ჯამური ოდენობის შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N51 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მიხედვით საცხოვრებელი პროცენტულობა განისაზღვრა 90%-მდე, რომლის შესაბამისადაც მაკომპენსირებელი ფართობის 416 კვ.მ.-ის შესაბამისი საფასური უკვე დადგენილი და დაფარულია. შესაბამისად, მაკომპენსირებელი ოდენობა განისაზღვრება საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 4%-ით და შეადგენს 314,3 კვ.მ.-ს. კორექტირებული პარამეტრები: ნაკვეთი A1 – 16 490 კვ.მ. სსზ - 2 – 13 707 კვ.მ. კ-1= 0,3 – 4715 კვ.მ. კ-2= 5,2 – 71 880 კვ.მ. კ-3= 0,3 – 4112 კვ.მ. საცხოვრებელი 90 % - საზოგადოებრივი- 10 % სართულიანობა - 2 – 28 2

სართულიანი არსებული შენობა-ნაგებობა (საბავშვო ბაღი). 28 სართული მრავალბინიანი; 95 მეტრი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 4 ივნისის N01251551081 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ზუაძემ.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

25. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის (ნაკვეთი 14/174); ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების, IV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.014.174; N01.19.36.016.765) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N255 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს N12-032515723-03 06.06.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის (ნაკვეთი 14/174); ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების, IV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.016.011). საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი: 7803 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1); საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის (ნაკვეთი 14/174); ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების, IV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.014.174; N01.19.36.016.765) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N255 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის კორექტირებაც განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ოქტომბრის N537 განკარგულებით. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (7 803 კვ.მ.) კ1=0.3 (2500 კვ.მ.) კ2=3.5 (27 300 კვ.მ.) კ3=0.3 (2 411.47 კვ.მ.) კომერციული ფუნქცია - 10%, საცხოვრებელი - 90 % შენობა-ნაგებობის მაქს. სართულიანობა/ სიმაღლე - 12 სართული (მიწისზედა) / 41 მ. N01251263851-67 (N01251393955-67; N01251433880-67; N01251473930-67) განცხადებაზე

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მიხედვით, დადგენილი კოეფიციენტების (კ1, კ2, კ3) ფარგლებში იცვლება მათი საანგარიშო ფართობები. ასევე, კორექტირება მიზნად ისახავს შენობა-ნაგებობაზე 1 ტიპიური სართულის დამატებას და 0.00 ნიშნულზე კომერციულ ფართებს უმატება ავტოსადგომები. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (7 803 კვ.მ.) კ1=0.3 (2 371.1 კვ.მ.) კ2=3.5 (27 653.8 კვ.მ.) კ3=0.3 (2 389 კვ.მ.) საცხოვრებელი ფუნქცია -90% ; საზოგადოებრივი - 10% მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 1 შენობა-ნაგებობების რაოდენობა - 1 შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე- 13 სართული (მიწისზედა)/56.9 მეტრი; ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 28 მაისის N01251481957 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ბუაძემ.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

26. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.004.002-ის ნაწილი) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032516047-03 09.06.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.004.003), საპროექტო არეალის ფართობია 81 065 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიას გარშემო ესაზღვრება სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით მოწყობილია სასაფლაო. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალი გაუანაშენიანებელია. საპროექტო ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ქანობიანია (ძირითადად 18-30%). ცენტრალურ ნაწილში გვხვდება ნაწილობრივ ბრტყელი რელიეფი (ქანობი მაქსიმუმ 14%). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5); საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №205 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების

რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის კორექტირება განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს №436 განკარგულებით. N01250852385-67 (N N01251052444-67; 01251121863-67; 01251254443-67; 01251282708-67; 01251333481-67; 01251403281-67; 0125148351-67; 01251493795-67) განცხადებაზე წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მიხედვით მიწის ნაკვეთზე დასაშვები მაქსიმალური სიმაღლე 16.50 მეტრი იზრდება 17.00 მეტრამდე, ხოლო საპროექტო არეალის დასავლეთ ნაწილში ხდება სპორტული მოედნების დამატება, სპორტული მოედნები იქნება ღია ტიპის მორგებული რელიეფზე. განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი პირობები რჩება უცვლელი. საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთების რაოდენობა -1 ერთეული მიწის ნაკვეთის ფართობი - 81 065 კვ.მ. საცხოვრებელი ზონა 5 (სა-5) კ-1=0,3 კ-2=0,9 (70800 კვ.მ.) კ-1=0,3 შენობების რაოდენობა-11 (9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; 2 მიწისქვეშა ობიექტი - აუზი და მრავალფუნქციური სივრცე) სართულიანობა - 5 მიწისზედა, 3 მიწისქვეშა სართული მაქსიმალური სიმაღლე - 17 მ. ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა ჩართვა არ განხორციელებულა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, 2025 წლის 30 მაისის N01251501953 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ბუაძემ.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

27. „ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, N32გ; ვაშლიჯვრის დასახლება, გელოვანის ქუჩა №6 და №6-ის მიმდებარედ; გელოვანის ქუჩა N6, ნაკვეთი №01.10.10.022.019-ის მიმდებარედ; ვაშლიჯვრის დასახლება, ნაკვეთი №002/009-ის მიმდებარედ; ცილა გაბაშვილის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.022.331) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N625 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032516732-03 -16.06.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, N32გ; ვაშლიჯვრის დასახლება, გელოვანის ქუჩა №6 და №6-ის მიმდებარედ; გელოვანის ქუჩა N6, ნაკვეთი №01.10.10.022.019-ის მიმდებარედ; ვაშლიჯვრის დასახლება, ნაკვეთი №002/009-ის მიმდებარედ; ცილა გაბაშვილის ქუჩა N10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ირაკლი ფარჯიანის ქუჩა N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.022.343; N01.10.10.022.342). საპროექტო ტერიტორიის ფართობია 6 402 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური

გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია განთავსებულია პერიფერიულ ზონაში (პზ). „ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, N32გ; ვაშლიჯვრის დასახლება, გელოვანის ქუჩა №6 და №6-ის მიმდებარედ; გელოვანის ქუჩა N6, ნაკვეთი №01.10.10.022.019-ის მიმდებარედ; ვაშლიჯვრის დასახლება, ნაკვეთი №002/009-ის მიმდებარედ; ცილა გაბაშვილის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.022.331) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N625 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის ფარგლებშიც, ჩამოყალიბდა 2 საკადასტრო ერთეული, წარმოდგენილი კორექტირება კი ეხება მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით: N01.10.10.022.342, ფართობი: 6040 კვ.მ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის N592 განკარგულებით შეთანხმდა ხელშეწყობი ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/რანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ირაკლი ფარჯიანის ქუჩა N11- ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.10.022.342, ფართობი - 6040 კვ.მ.) მიმართებით, რომლის მიხედვითაც: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.1-მდე; ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე; ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე, წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების ფარგლებში, საპროექტო მიწის ნაკვეთისთვის ხდება კ2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გაზრდა კ-2=2.5-დან (15 100 კვ.მ.) კ-2=3.1-მდე (18 724 კვ.მ.), ცვლილებით გაზრდილი კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის ათვისებისათვის მოხდა არსებული შენობის სართულიანობის ზრდა, კერძოდ, ბლოკი A-ხდება 17 მიწისზედა სართულით, ხოლო, B ბლოკი ხდება 10 მიწისზედა, C ბლოკი კი ყალიბდება როგორც მიწისქვეშა შენობა, 2 მიწისქვეშა სართულით. მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო არეალის ფართობია 6 402 კვ.მ. მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 2 სამშენებლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 1 (I ნაკვეთი - 6 040 კვ.მ - სზ-6). არასამშენებლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 1 (II ნაკვეთი - 362 კვ.მ - ტზ-1), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - 6 040 კვ.მ. კ-1=0,5 (3 020 კვ.მ.); კ-2=3,1 (18 724 კვ.მ.); კ-3=0,3 (1 898 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 362 კვ.მ. კ-1=-; კ-2=-; კ-3=0,1 შენობა-ნაგებობების რაოდენობა - 3 შეეგუფებული შენობა. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე - 17 სართული (მიწისზედა) /57.20 მეტრი. ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა ჩართვა არ განხორციელებულა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 4 ივნისის N01251552008 წერილის შესაბამისად, სააგენტო, არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, N32გ; ვაშლიჯვრის დასახლება, გელოვანის ქუჩა №6 და №6-ის მიმდებარედ; გელოვანის ქუჩა N6, ნაკვეთი №01.10.10.022.019-ის მიმდებარედ; ვაშლიჯვრის დასახლება, ნაკვეთი №002/009-ის მიმდებარედ; ცილა გაბაშვილის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.022.331) მრავალბინიანი

საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N625 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ზუაძემ.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

28. „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.244; N01.72.14.008.245; N01.72.14.008.295) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N143 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს №12-03251697-03 -18.06.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.992; N01.72.14.008.991; N01.72.14.008.990; N01.72.14.008.993) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ფართობი წარმოადგენს 77 000 კვ.მ.-ს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ასევე, გაშვებული ტერიტორიების რუკით - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N143 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის კორექტირებაც განხორციელებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის N276 განკარგულებით. N01243311063-67 (N01250221626-67; N01250422293-67; N01251121749-67; N01251333012-67; N01251352967-67; N01251632683-67) განცხადებით წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მიხედვით არსებითი ცვლილება ეხება სარეკრეაციო ზონა 2-ს (რზ-2). დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2) დაგეგმილი იყო მხოლოდ პარკის/სკვერის, სარეკრეაციო სივრცის მოწყობა, ხოლო კორექტირებული პროექტით დაგეგმილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ნაწილზე არსებული ფუნქციური ზონის ფარგლებში სპორტული კომპლექსის მოწყობა, რაც მოიცავს სპორტულ მოედნებს, აუზს და ორ 2 სართულიან სპორტულ შენობა-ნაგებობას. საცხოვრებელ ზონა 3-ში (სზ-3) იზრდება დადგენილი სიმაღლე და სართულიანობა 15 მ-დან 17 მ-მდე. ხოლო სართულიანობა 4-დან 5 სართულამდე. (სიმაღლის

ცვლილება არ ეხება N1 სექტორში N1 შენობა-ნაგებობას). საცხოვრებელ ზონა 3-ში (სზ-3) ასევე იცვლება კომპლექსში დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსებები. ასევე, იზრდება კ-1, კ-2 კოეფიციენტების საანგარიშო ფართობები, დადგენილი მაჩვენებლების უცვლელად (ხდება მაქსიმალურად ათვისება). სექტ. N1. 9646 კვ.მ. (სზ-3) კ-1=0.5 – 5 208,8 კვ.მ. კ-2=1.5 – 14 854,8 კვ.მ. კ-3=0.3 – 2 893,8 კვ.მ. მრავალბინიანი საცხოვრებელი მაქსიმალური სიმაღლე - 17 მ. სართულიანობა - 5 სართ. სექტ. N2. 11 709 კვ.მ (სზ-3) კ-1=0.5 – 6 322,8 კვ.მ. კ-2=1.5 – 18 031,8 კვ.მ. კ-3=0.3 – 3 512,7 კვ.მ. მრავალბინიანი საცხოვრებელი მაქსიმალური სიმაღლე - 17 მ. სართულიანობა - 5 სართ. სექტ. N3 – 47 000 კვ.მ. რზ-2 – 44 010 კვ.მ. ტზ-1 – 2 990 კვ.მ. კ1-0,2 = 10 562,4 კვ.მ. კ-1 = - კ2-0,0 კ-2 = - კ3-0,8= 35 208 კვ.მ. კ-3= 0,1 – 299 კვ.მ. პარკი, სკვერი, სპორტული მოედნები, სპორტული შენობა-ნაგებობები, აუზი. სართულიანობა - 2 სართული; სიმაღლე- 8 მეტრი. სექტ. N4. 8645 კვ.მ (სზ-3) კ-1=0.5 – 4 668,3 კვ.მ. კ-2=1.5 – 13 313,3 კვ.მ. კ-3=0.3 – 2 593,5 კვ.მ. მრავალბინიანი საცხოვრებელი მაქსიმალური სიმაღლე - 17 მ. სართულიანობა - 5 სართ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2025 წლის 19 მაისის N01251393626 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 13 ივნისის N01251641018 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ბუაძემ.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

29. ქალაქ თბილისში, წუცუბიძის ქუჩა №5, №3; ქალაქი თბილისი, ქუჩა წუცუბიძე, სმენადაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატის გვერდით (ნაკვეთი 25/020); ქალაქი თბილისი, ბუდაპეშტის ქუჩა №28-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.15.025.020, №01.14.15.025.033, №01.14.15.025.027; №01.14.15.025.032) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტს დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032514838-03 28.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, წუცუბიძის ქუჩა N5, N3; ქალაქი თბილისი, ქუჩა წუცუბიძე, სმენადაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატის გვერდით (ნაკვეთი 25/020); ქალაქი თბილისი, ბუდაპეშტის ქუჩა N28-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.15.025.020, N01.14.15.025.033, N01.14.15.025.027; N01.14.15.025.032). არეალის ჯამური ფართობი 15 225 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6),

